


დღგ-ის ჩათვლა საბაჟო დეკლარაციით N 11127



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2020 წლის 24 თებერვლის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

ანოტაცია

დღგ-ის ჩათვლა საბაჟო დეკლარაციით N 11127

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სახელმძღვანელოს შემუშავების მიზანია 2019 წლის 28 ივნისს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილში განხორციელებული ცვლილებით განსაზღვრული ნორმის, კერძოდ ამავე ნაწილის ვ¹ ქვეპუნქტით დადგენილი ჩათვლის მიღების პირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდგომების ჩამოყალიბება.

აღნიშნული ნორმით განისაზღვრა ჩათვლის მიღების პირობები 173-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ჩათვლის დოკუმენტებთან მიმართებაში. ამ ნორმის მიხედვით, საბაჟო დეკლარაციით დღგ-ის ჩათვლა იზღუდება იმ შემთხვევებში თუ ისინი გადასახადის გადამხდელის (მყიდველის/ჩათვლის მიმღების) მიერ ასახული არ არის დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში (მათ შორის, იმავე ვადაში დაზუსტებული დეკლარაციის წარმოდგენით);

აღნიშნული ნორმა ემსახურება საანგარიშო პერიოდის განსაზღვრას, რომელშიც დასაშვებია ჩათვლის უფლება, მშ. დაზუსტების გზით და იგი ვერ იქნება გადამხდელის უფლებების შემზღუდავი, ხანდაზმულობის გათვალისწინებით მოითხოვოს იმ გადასახადის ჩათვლა, რომელიც გადახდილია მის მიერ ბიუბიუჯეტში.

შესაბამისად სსკ-ის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ¹“ ქვეპუნქტში მოცემული ჩათვლის დოკუმენტებით ჩათვლის განხორციელება, მათ შორის დეკლარაციის დაზუსტების გზით შესაძლებელია 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, ამასთან იმ საანგარიშო პერიოდებში, (მაგრამ არაუგვიანეს კალენდარული წლის დეკემბრის თვის), რომელშიც განხორციელდა იმპორტი.